ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1893481

ნომერი: AR1307401

თარიღი : 05.05.2015

გაცემის თარიღი : 13.05.2015

გაცნობის თარიღი : 19.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ შარაშიძე პ/ნ 01007006939
- თბილისი სამტრედიის ქ. კორ. 3ა ბ. 71

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1307401 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩა # 37 (საკ. კოდი 01.13.04.019.007) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 15 აპრილს # AR1301660 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება,
სამსახურში ამ ეტაპზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო.

ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.